



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების  
ფინანსური მაჩვენებლები  
**2019**

15.10.2020

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.10.2020

### არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2019 წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2019 წლის ბოლოსათვის 80.2 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 5.9 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2019 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 16.0 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2018-2019 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2018		2019	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
<b>ფინანსური აქტივები სულ</b>	<b>14 254.0</b>	<b>100.0</b>	<b>15 989.2</b>	<b>100.0</b>
აქედან:				
ნაღდი ფული და დეპოზიტები	3 401.1	23.9	3 473.8	21.7
აქედან:				
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	582.6	4.1	526.9	3.3
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	49.0	0.3	42.0	0.3
ფასიანი ქაღალდები	2 287.8	16.1	2 601.8	16.3

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.10.2020

არაფინანსური კორპორაციების ფასიანი ქაღალდების ღირებულებამ 2019 წლის ბოლოსათვის 2.6 მილიარდი ლარი შეადგინა.


2019 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 2.8 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 36.6.

2019 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 41.5 მილიარდ ლარს გაუტოლდა (აქედან, მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 10.5 მილიარდ ლარს).

მთლიანი ვალდებულებებიდან 12.3 მილიარდი ლარი<sup>1</sup> წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით. მთლიანი ვალიდან არარეზიდენტების მიმართ 2019 წლის ბოლოსათვის არსებულმა ვალმა (საგარეო ვალი) 7.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

ფინანსური წარმოებულების ღირებულება 29.2 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2019 წლის ბოლოსათვის 38.7 მილიარდი ლარი შეადგინა:

### არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2018-2019 წლებში




<sup>1</sup>კონვერტირებული ლარში (2019 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.10.2020

არაფინანსური კორპორაციების მიერ 2019 წელს განეული საპროცენტო ხარჯები 1.8 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანმა შემოსავლებმა 8.6 მილიარდი ლარი შეადგინა. რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

**არაფინანსური კორპორაციების შემოსავლების სტრუქტურა  
2018-2019 წლებში**



2019 წელს ვალის მომსახურებაზე განეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 7.1 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან, ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით - 1 120.3 მილიონი ლარია. ვალის მომსახურება ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 71.9 მილიონი ლარი, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 309.7 მილიონი ლარი.

### საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

#### საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200). E-mail: [dkupatadze@geostat.ge](mailto:dkupatadze@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)